საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 27 " 10 " დეკემბერი 2019 წ.

წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

„სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების წევრთა წარდგენის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 16 ივლისის №4 წარდგინებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. პატიმრობის კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების მიერ სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 7 აგვისტოს №320 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, „სპეციალური პენიტენციური სამსახურის ადგილობრივი საბჭოების წევრთა წარდგენის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის 16 ივლისის №4 წარდგინების მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თორნიკე გეწაძე - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამართლებრივი და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სამართლებრივ საკითხთა სამმართველოს უფროსი.".

2. ეს წარდგინება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი